



**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**  
**ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო**  
**SAKREBULO OF MUNICIPALITY OF POTI CITY**



ბრძანება:ბ43.43221015

თარიღი:29/07/2022

„ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საშუალების (KIA SELTOS, გამომშვების წელი - 2022, რეგისტრაციის ნომერი:PS099SP), საკრებულოს თანამდებობის პირების (გარდა საკრებულოს თავმჯდომარისა) საწვავის ხარჯის ყოველთვიური ნორმის, საკრებულოს თანამდებობის პირებისა და საჯარო მოსამსახურეების მობილური სატელეფონო კავშირის მომსახურებების, საკრებულოს საქალაქთაშორისო ტელეფონებით სარგებლობისთვის გამოყოფილი ყოველთვიური ხარჯის ზღვრული ოდენობის (ნორმა)განსაზღვრის შესახებ“ **ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 ივნისის Nბ43.43221803 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, **ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე.**

აღნიშნული ნორმის შესაბამისად, სხვადასხვა მუნიციპალიტეტებიდან გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია, **საკრებულოს თანამდებობის პირების საწვავის ხარჯის ყოველთვიური ნორმის შესახებ. ზემოხსენებული და სხვა საკითხების არსებითად შესწავლის შემდეგ მიღებულ იქნა შესაბამისი გადაწყვეტილება.**

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირების(გარდა საკრებულოს თავმჯდომარისა) საწვავის ყოველთვიური ლიმიტი არის 70 ლიტრი, რაც ყველაზე დაბალია სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით.

**საკრებულოს თანამდებობის პირების უფლებამოსილებიდან და განსახორციელებელი სამუშაოებიდან გამომდინარე, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში საწვავისთვის გამოყოფილი ასიგნების ფარგლებში, მიზანშეწონილია, საკრებულოს თანამდებობის პირებს გაეზარდოთ საწვავის ყოველთვიური ლიმიტი, აღნიშნული გარემოება არ გამოიწვევს საბიუჯეტო ასიგნებების გაზრდას და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანას.**

ამდენად, შესაბამისი ცვლილება უნდა შევიდეს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 ივნისის Nბ43.43221803 ბრძანებაში.

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, **ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 52-ე, 53-ე, 63-ე, 96-ე მუხლების, შესაბამისად,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე:**

- 1. შეტანილ იქნას ცვლილება** „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საშუალების (KIA SELTOS, გამოშვების წელი - 2022, რეგისტრაციის ნომერი:PS099SP), საკრებულოს თანამდებობის პირების (გარდა საკრებულოს თავმჯდომარისა) საწვავის ხარჯის ყოველთვიური ნორმის, საკრებულოს თანამდებობის პირებისა და საჯარო მოსამსახურეების მობილური სატელეფონო კავშირის მომსახურებების, საკრებულოს საქალაქთაშორისო ტელეფონებით სარგებლობისთვის გამოყოფილი ყოველთვიური ხარჯის ზღვრული ოდენობის (ნორმა) განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 ივნისის №43.43221803 ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1.დამტკიცდეს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საშუალების (KIA SELTOS , გამოშვების წელი - 2022, რეგისტრაციის ნომერი:PS099SP) და საკრებულოს თანამდებობის პირების საწვავის ხარჯის ყოველთვიური ნორმა, კერძოდ:

  - ა) ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საშუალებისთვის (KIA SELTOS , გამოშვების წელი - 2022, რეგისტრაციის ნომერი:PS099SP) - 600 ლიტრი თვეში(აღნიშნული სატრანსპორტო საშუალება გამოიყენება საკრებულოსა (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირების, საკრებულოს წევრების) და საკრებულოს თავმჯდომარის საქმიანობასთან დაკავშირებით);
  - ბ) საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილეს -120 ლიტრი თვეში;
  - გ) საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს- 110 ლიტრი თვეში;
  - დ) საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარეს- 110 ლიტრი თვეში;
  - ე) საკრებულოს კომისიის თავმჯდომარეს- 110 ლიტრი თვეში;
  - ვ) საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილეს- 100 ლიტრი თვეში.“.
- 2. აღნიშნული ბრძანების შესრულებასთან დაკავშირებით, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილებამ განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები.**
- 3. ბრძანების შესრულებასთან დაკავშირებით კონტროლი განახორციელოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა აკაკი დარჯანიამ.**
- 4. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 62-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის, შესაბამისად, ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №3).**
- 5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.**

ალექსანდრე ტყეშელაშვილი

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-  
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი

